

რუსეთის ჩრდილოეთის ფლოტი - გაზრდილი სტატუსი და
გეოპოლიტიკური ამბიციები

გიორგი სურმავა

2021

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2020 წლის 21 დეკემბრის #803 [ბრძანებულებით](#), ჩრდილოეთის ფლოტი გახდა ერთადერთი რუსეთის ისტორიაში, რომელსაც ექნება სამხედრო ოლქის უფლებამოსილებები. კერძოდ, ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის მთლიანობის და ტერიტორიის ხელშეუხებლობის მიზნით, ჩრდილოეთის ფლოტი ჩაითვალოს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სახეობათაშორის სტრატეგიულ-ტერიტორიულ გაერთიანებად, რომელსაც აქვს სამხედრო ოლქის ამოცანები. მის პასუხისმგებლობაშია უდიდესი ტერიტორიული ზონა. მისი დიდი ნაწილი ყინულის უდაბნოა, რომელსაც რუსეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. აქ გადის ჩრდილოეთის საზღვაო გზა, რომლითაც მანძილი იოკოჰამიდან როტერდამამდე 7300 საზღვაო მილია (ინდოეთის ოკეანის გავლით ეს დისტანცია 11200 საზღვაო მილია). გარდა ამისა, აქ არის თავმოყრილი ნახშირწყალბადების და სხვა მინერალური თუ საზღვაო რესურსების დიდი მარაგი. ასევე, ამ ტერიტორიაზე გადის აშშ-ისა და რუსეთის სტრატეგიული რაკეტების უმოკლესი ტრაექტორიები სავარაუდო მიზნებისაკენ.

რუსულ ღია წყაროებში გამოთქმულია აზრი, რომ ჩრდილოეთ ფლოტისათვის სამხედრო ოლქის სტატუსის მინიჭების მასშტაბის სტრატეგიული გადაწყვეტილება პეტრე პირველის შემდეგ არ მიუღიათ და რომ რუსეთი ცდილობს ჩრდილოეთის აღმომჩენიდან მის მფლობელად გადაიქცეს. ჩრდილოეთის ფლოტი კი ამის ინსტრუმენტია.

ცოტა ხნით ადრე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2020 წლის 5 ივნისის #374 [ბრძანებულებით](#), 2021 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ადმინისტრაციული დაყოფა. ჩრდილოეთის ფლოტი მოექცა რესპუბლიკა კომის, არხანგელსკის და მურმანსკის ოლქის და ნენეცთა ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ფლოტის პასუხისმგებლობის ზონა ბევრად აღემატება მის ადმინისტრაციულ საზღვრებს და მოიცავს ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის კუნძულებს და ზღვებს, ასევე ატლანტიკის დიდ ნაწილს.



ჩრდილოეთის ფლოტის ადმინისტრაციული საზღვრები

2020 წელს ჩრდილოეთის ფლოტის ხომალდების სანაოსნო და ავიაციის ფრენების გეოგრაფია მოიცავდა ოთხ ოკეანეს. საზღვაო ქვეითები და მოტომსროლელები კი, თავიანთ სასწავლო და საბრძოლო ამოცანებს ასრულებდნენ ჩუკოტკიდან ფრანციოსების მიწამდე. საჰაერო თავდაცვის ძალები უზრუნველყოფდნენ საჰაერო საზღვრის დაცვას არქტიკის მიმართულებაზე.

ბოლო მნიშვნელოვანი ცვლილება რუსეთის სამხედრო-ადმინისტრაციულ დაყოფაში მოხდა 2010 წელს, როდესაც შეიქმნა ოთხი სამხედრო ოლქი (დასავლეთი, სამხრეთი, ცენტრი, აღმოსავლეთი) და შესაბამისი გაერთიანებული-სტრატეგიული სარდლობები. 2014 წელს დასავლეთ სამხედრო ოლქს გამოეყო ჩრდილოეთის ფლოტი და მისი მმართველობა გადაკეთდა გაერთიანებულ-სტრატეგიულ სარდლობად. 2021 წლის იანვრიდან კი, როგორც ზევით იყო აღნიშნული, მას მიენიჭა სამხედრო ოლქის სტატუსი.

რას წარმოადგენს ჩრდილოეთის ფლოტი?

სამხედრო ოლქის სარდლობა განლაგებულია მურმანსკის ოლქის ქალაქ სვერომორსკში. ოლქის შემადგენლობაში შედის:

- ფლოტის წყალქვეშა ძალები:

სტრატეგიული დანიშნულების ატომური მძიმე სარაკეტო წყალქვეშა კრეისერი - 1 ერთეული; სტრატეგიული დანიშნულების ატომური სარაკეტო წყალქვეშა კრეისერი - 8 ერთეული (1 - რემონტზეა. დამატებით: 1 - შენდება, 2 - დაკონტრაქტებულია); მრავალმიზნობრივი ატომური წყალქვეშა ნავი, ფრთოსანი რაკეტებით - 2 ერთეული (აქედან 1 - გადის გამოცდას; 3 - დამატებით შენდება); ატომური წყალქვეშა ნავი, ფრთოსანი რაკეტებით - 2 ერთეული; მრავალმიზნობრივი ატომური წყალქვეშა ნავი -

10 ერთეული (აქედან 3 - რემონტზე და მოდერნიზაციაზე, 1 - ხანგრძლივ რემონტზე); ატომური წყალქვეშა სადგური - 7 ერთეული (1 რემონტზე); დიზელის დიდი სატორპედო წყალქვეშა ნავი - 6 ერთეული (1 რემონტზე); ექსპერიმენტული წყალქვეშა ნავი - 1 ერთეული.

- კოლის ფლოტილია
- ბელომორის სამხედრო-საზღვაო ბაზა

სულ ფლოტის მცურავი საშუალებებია: მძიმე ავიაშინძი კრეისერი „ადმირალი კუზნეცოვი“ (ყოფილი „თბილისი“, საბჭოთა კავშირის და რუსეთის ერთადერთი ავიაშინძი, ამჟამად უტარდება რემონტი და მოდერნიზაცია); სარაკეტო კრეისერი - 3 ერთეული (1 რემონტზე); საესკადრო ნაღმოსანი - 1 ერთეული (რემონტზე); დიდი ნავსაწინააღმდეგო ხომალდი/ფრეგატი 3+4 ერთეული (1 რემონტზე და მოდერნიზაციაზე, 1 ემზადება გამოსაცდელად); მცირე საბრძოლო ხომალდი - 8 ერთეული; საარტილერიო კატარა - 1 ერთეული; საზღვაო/საზაზო მტრალავი - 9 ერთეული (1 რემონტზე); დიდი სადესანტო ხომალდი - 6 ერთეული; სადესანტო კატარა - 4 ერთეული. ფლოტის შემადგენლობაშია ასევე საბრძოლო და მატერიალური უზრუნველყოფის ხომალდები, გემები და მცურავი საშუალებები.

ჩრდილოეთ ფლოტის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი და მთლიანად რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფლაგმანია რუსეთის ერთადერთი ავიაშინძი და, პირველ რიგში, ეს ფლოტი იღებს თავის შემადგენლობაში „ბორეის“ პროექტის სტრატეგიული დანიშნულების ახალ წყალქვეშა კრეისერებს (2020 წელს მან მიიღო მეორე ასეთი კრეისერი), რომელთა შეიარაღებაშია ასევე ახალი ბალისტიკური რაკეტა „ბულავა“.

- სახმელეთო და სანაპირო ჯარები:

61-ე საზღვაო ქვეითთა ცალკეული ბრიგადა; მე-80 ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადა (არქტიკული); მე-200 ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადა; 536-ე ცალკეული სანაპირო სარაკეტო ბრიგადა; 71-ე ტაქტიკური ჯგუფი; 99-ე ტაქტიკური ჯგუფი; საბრძოლო, ტექნიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დანაყოფები, სპეციალური დანიშნულების დანაყოფები და სხვა.

- 45-ე სამხედრო-საჰაერო ძალების და საჰაერო თავდაცვის არმია:

სულ, ჩრდილოეთის ფლოტის ავიაციის შემადგენლობაშია: საგემბანო ავიაგამანადგურებლები Су-33, МиГ-29К/КУБ; საფრონტო ბომბდამშენები Су-24; ტაქტიკური სადაზვერვო თვითმფრინავები Су-24МП; სასწავლო მოიერიშეები Су-25УТГ. სატრანსპორტო და სპეციალური თვითმფრინავები: Ан 12, Ан 24, Ан-26, Ан-72,

АН-140-100, Ил-18, Ил-38, Ту-142 და ვერტმფრენები: Ка-27, Ка-29, Ка-32, Ми-8. 2019 წელს ასევე იყო გამოცხადებული ჩრდილოეთის ფლოტისათვის საგემბანო ავიაგამანადგურებლების МиГ-31 ორი ესკადრილის გადაცემის შესახებ.

ფლოტის ძირითადი დეკლარირებული ამოცანებია:

- საზღვაო-სტრატეგიული ბირთვული ძალების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა, ბირთვული შეკავების ინტერესებში;
- ეკონომიკური ზონის და საწარმოო საქმიანობის რაიონების დაცვა, არაკანონიერი საწარმოო საქმიანობის აღკვეთა;
- ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- მთავრობის საგარეო-პოლიტიკური აქციების შესრულება მსოფლიო ოკეანის ეკონომიკურად მნიშვნელოვან რაიონებში (ვიზიტები, საქმიანი შესვლები, ერთობლივი სწავლებები, მოქმედებები სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში და სხვა).

რას უნდა უკავშირდებოდეს ფლოტის სტატუსის ეს ცვლილება და რა არის რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიზანი, რისთვისაც ხდება ეს ცვლილებები?

არქტიკის როლის ზრდა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ სახელმძღვანელო დოკუმენტებში

საკითხზე მუშაობისას გადაიხედა რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური, სტრატეგიული უსაფრთხოების, სამხედრო, საგარეო-პოლიტიკური და საზღვაო თემატიკის სახელმძღვანელო დოკუმენტები, ასევე, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებები და მთავრობის განკარგულებები, დაკავშირებული საკვლევ თემასთან.

„არქტიკა“ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური, სტრატეგიული უსაფრთხოების დოკუმენტების სათაურებში 2020 წლიდან ჩნდება. რა თქმა უნდა, ის მანამდეც მოიხსენიებოდა მათ ტექსტებში, მაგრამ წლიდან წლამდე ამ გეოგრაფიული რეგიონის მნიშვნელობა არსებითად იცვლებოდა.

ადრეულ დოკუმენტებში არქტიკა და უკიდურესი ჩრდილოეთი ძალზე იშვიათადაა მოხსენიებული და ძირითადად იგულისხმება საერთო კონტექსტში. მაგალითად, „რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“ (12/17/1997) არის მხოლოდ ეს ერთი წინადადება: „უმოკლეს ვადებში უნდა იყოს შემუშავებული განსაკუთრებით კრიზისული რეგიონების და უკიდურესი

ჩრდილოეთის რაიონების სასიცოცხლო საქმიანობის მექანიზმები“, ხოლო „რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში“ (6/28/2000) ეს რეგიონი საერთოდ არ არის ნახსენები.

21-ე საუკუნის პირველი დეკადის ბოლოსათვის რუსეთის ფედერაციას აღარ აკმაყოფილებს იმ დროისათვის არსებული საერთაშორისო ვითარება და აცხადებს გლობალურ პრეტენზიებს, რაც აისახა დოკუმენტში [„რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია 2020 წლამდე“](#) (5/13/2009). ამ დოკუმენტის მეორე თავში, „თანამედროვე მსოფლიო და რუსეთი: მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები“, გამოთქმულია აზრი, რომ ყალიბდება არსებული პრობლემების გადაწყვეტის და კრიზისული ვითარებების დარეგულირების ტენდენცია რეგიონალურ საფუძვლებზე, არარეგიონალური ძალების მონაწილეობის გარეშე. არსებული გლობალური და რეგიონალური არქიტექტურის უუნარობა, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ NATO-ზე, ასევე სამართლებრივი ინსტრუმენტების და მექანიზმების არასრულყოფილება ემუქრება საერთაშორისო უსაფრთხოებას. ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციას აქვს საკმაო პოტენციალი, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში გახდეს ერთ-ერთი ლიდერი მსოფლიო ეკონომიკაში. აქვე ნახსენებია, რომ შორეულ პერსპექტივაში საერთაშორისო პოლიტიკის ყურადღება გამახვილებული იქნება ენერგორესურსების წყაროების დაუფლებაზე, მათ შორის, ბარენცის ზღვის შელფზე და არქტიკის სხვა რაიონებში.

მეოთხე თავში, „ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, ეროვნული თავდაცვის პუნქტში საუბარია სახელმწიფო საზღვრების საერთაშორისო გაფორმების დაუსრულებელ პროცესზე და ამ საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიღწევაზე მაღალი ტექნოლოგიების ხარჯზე, მათ შორის, არქტიკულ ზონაშიც.

ეკონომიკური ზრდის პუნქტში ნათქვამია, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებში ფართოვდება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ინსტრუმენტები სატრანსპორტო, ენერგო, საინფორმაციო და სამხედრო ინფრასტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად, განსაკუთრებით, არქტიკის ზონაში, აღმოსავლეთ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში.

და მაინც, ამ დოკუმენტში არქტიკა ასოცირდება ძირითადად ეკონომიკურ და არა სამხედრო უსაფრთხოების საკითხებთან. ამის ირიბ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იერარქიულად მისგან გამომდინარე დოკუმენტში [„რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინა 2020 წლამდე პერიოდისათვის“](#) (2/5/2010) არქტიკა ნახსენები არ არის და ის შეიძლება ძალიან ზოგადად იგულისხმებოდეს 27-ე პუნქტის,

„შეიარაღებული ძალების და სხვა ჯარების ძირითადი ამოცანები“, ქვეპუნქტებში: მეკობრეობასთან ბრძოლა, ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მსოფლიო ოკეანეში.

ეს ტენდენცია გრძელდება დოკუმენტში [„რუსეთის ფედერაციის საზღვაო საქმიანობის სტრატეგია 2030 წლამდე“](#) (12/8/2010), სადაც ყურადღება ძირითადად გამახვილებულია რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებზე მსოფლიო ოკეანეში და მხოლოდ ერთ წინადადებაშია აღნიშნული „ მსოფლიო ოკეანეში რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტის, სუვერენული და სხვა უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებული ეროვნული ინტერესების სამხედრო დაცულობის, ასევე, ქვეყნის საზღვაო-სამეურნეო და სხვა საქმიანობის, სამხედრო უსაფრთხოების არასაკმარისი დონე საოკეანო და საზღვაო მიმართულებებზე“. ამ დოკუმენტის დანართში, სტრატეგიულ მიზნებს შორის მოხსენიებულია: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოპერატიული შესაძლებლობების ამაღლება რუსეთისათვის მნიშვნელოვანი ზღვებისა და ოკეანეების რაიონებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ; ექსპედიციური საქმიანობის განახლება არქტიკის და ანტარქტიკის საკვანძო რაიონებში.

ამ დოკუმენტების შესაბამისად, [„რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში“](#) (2/16/2013) ძირითადი ყურადღება გამახვილებულია რეგიონალურ თანამშრომლობაზე არქტიკაში და, ზოგადად, ჩრდილოეთში. ხოლო [„რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინაში“](#) (12/25/2014) შეიარაღებული ძალების, სხვა ჯარების და ორგანოების ძირითადი ამოცანები მშვიდობიან დროს არის: მეკობრეობასთან ბრძოლა, ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მსოფლიო ოკეანეში; ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა არქტიკაში.

ამგვარად, 2015 წლამდე გამოცემულ სახელმწიფო სახელმძღვანელო დოკუმენტებში, მსოფლიოში რუსეთის მნიშვნელობის და გავლენის ზრდის მოთხოვნების ფონზე, არქტიკა და უკიდურესი ჩრდილოეთი ძირითადად განხილულია, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი ეკონომიკური რაიონი და ყურადღება გამახვილებულია ამ საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, მათ შორის, რეგიონალური თანამშრომლობის გზით.

2015 წელს განახლდა [„რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია“](#) (12/31/2015). ამ დოკუმენტში არსებობს მოკლე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი მითითებები არქტიკის შესახებ. კერძოდ, მეორე თავში, „რუსეთი თანამედროვე მსოფლიოში“, ნათქვამია, რომ „მსოფლიოს მოწყობის ახალი,

პოლიცენტრული მოდელის ჩამოყალიბების პროცესს თან სდევს გლობალური და რეგიონალური არასტაბილურობის ზრდა. ...განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ პროცესში იძენს ლიდერობა მსოფლიო ოკეანის და არქტიკის რესურსების ათვისებაში“, ხოლო მეოთხე თავში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არქტიკაში თანაბარუფლებრივი და ურთიერთსარგებლიანი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის მითითებებმა არქტიკის შესახებ გამოიწვია სათანადო ცვლილებები იერარქიულად ქვევით მდგომ დოკუმენტებში. კერძოდ, [„რუსეთის ფედერაციის საზღვაო დოქტრინაში“](#) (7/26/2015) (რომელიც, მართალია, უსაფრთხოების ახალ სტრატეგიამდე რამდენიმე თვით ადრე გამოიცა, მაგრამ, სავარაუდოდ, მასზე მუშაობა პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა და ახალი სტრატეგიის მოთხოვნებიც უკვე ასახულია), მეორე თავის, „ეროვნული საზღვაო პოლიტიკა“, ქვეთავში „ეროვნული საზღვაო პოლიტიკის პრინციპები“ აღნიშნულია რუსეთის ფლოტის ყოფნის უზრუნველყოფა არქტიკაში. მესამე თავის, „ეროვნული საზღვაო პოლიტიკის შინაარსი“, ქვეთავში „საზღვაო მინერალური და ენერგეტიკული რესურსების ათვისების საქმიანობა“ აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციის კონტინენტურ შელფზე დაზვერილი მინერალური და ენერგეტიკული რესურსების მარაგები უნდა შენარჩუნდეს, როგორც სტრატეგიული რეზერვი. ქვეთავში „საზღვაო მეცნიერული კვლევები“ ყურადღება გამახვილებულია არქტიკის ბუნებრივი გარემოს და მსოფლიო ოკეანის რესურსების და სივრცის გამოყენების სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ პრობლემებზე. ქვეთავში „სამხედრო-საზღვაო საქმიანობა“ აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციის საზღვაო პოტენციალის მთავარ შემადგენელს და საფუძველს, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს, წარმოადგენს სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ქვეთავში „ეროვნული საზღვაო პოლიტიკის რეგიონალური მიმართულებები“ ყველაზე დიდი ყურადღება ეთმობა არქტიკას. მათ შორის, ეროვნული უსაფრთხოების, სამხედრო, სასაზღვრო საკითხების თვალსაზრისით.

არქტიკის საკითხი გამოჩნდა საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტებშიც. კერძოდ, [„რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში“](#) (11/13/2016). მის მეოთხე თავში „რუსეთის საგარეო პოლიტიკის რეგიონალური პრიორიტეტები“ დიდი ყურადღება ეთმობა ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოებთან ნდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობას. აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაცია მზად არის კანადასთან ურთიერთობის დალაგებისათვის, მათ შორის, არქტიკაში. ყურადღება გამახვილებულია რეგიონალური ორგანიზაციების მნიშვნელობაზე სტაბილურობის შენარჩუნების და ურთიერთსასარგებლო საქმიანობის ხელშეწყობის საქმეში.

არქტიკისადმი განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის ფედერაციის სახელმძღვანელო დოკუმენტებში 2020 წლიდან ჩნდება, თუმცა ამის პრელუდიად შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულება [„რუსეთის ფედერაციის განვითარების ეროვნული მიზნების და სტრატეგიული ამოცანების შესახებ 2024 წლამდე პერიოდისათვის“](#) (5/7/2018), სადაც მითითებულია რუსეთის ფედერაციის საზღვაო პორტების სიმძლავრის გაზრდის შესახებ, მათ შორის, ჩრდილო-დასავლეთ აუზში. ასევე, ჩრდილოეთ საზღვაო გზის განვითარებაზე და ტვირთების გადაზიდვის გაზრდაზე 80 მილიონ ტონამდე.

დოკუმენტში [„რუსეთის ფედერაციის საზღვაო საქმიანობის განვითარების სტრატეგია 2030 წლამდე“](#) (8/30/2019), მეორე თავში „რუსეთის ფედერაციის საზღვაო საქმიანობის განვითარების პრობლემები“, ჩამოთვლილია რუსეთის ფედერაციასთან არსებული ტერიტორიული პრეტენზიები და საზღვაო სივრცის საერთაშორისო-სამართლებრივი გაფორმების პროცესის დაუსრულებლობა; სანავიგაციო-ჰიდროგრაფიული უზრუნველყოფის არასაკმარისი დონე, განსაკუთრებით, არქტიკულ და წყნარი ოკეანის რაიონებში; მოქმედი საზღვაო-სანაპირო ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის მუშაობის არადაამაკმაყოფილებელი შედეგები, განსაკუთრებით, არქტიკულ ზონაში; დედამიწის დისტანციური ზონდირების კოსმოსური აპარატების რუსეთის ორბიტალური დაჯგუფების უკმარისობა და უცხოურ, თანამგზავრულ მონაცემებზე არსებითი დამოკიდებულება არქტიკის, ანტარქტიკისა და მსოფლიო ოკეანეში ჰიდრომეტეოროლოგიური და საყინულე უზრუნველყოფაში. მესამე თავში, „რუსეთის ფედერაციის საზღვაო საქმიანობის განვითარების პრიორიტეტები ხანგრძლივი პერიოდისათვის“, სტრატეგიული ამოცანების ჩამონათვალშია: ჩრდილოეთ საზღვაო გზის განვითარება; მსოფლიო ოკეანის, არქტიკისა და ანტარქტიკის საზღვაო გარემოს, რესურსებისა და სივრცის ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების ჩატარება; მსოფლიო ოკეანის, ანტარქტიკის და არქტიკის გამოკვლევის სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის განვითარება.

2020 წელს გამოიცა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულება [„რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლების შესახებ არქტიკაში 2035 წლამდე პერიოდისათვის“](#) (3/5/2020). ამ დოკუმენტში, ძირითად დებულებებში, ხაზგასმულია, რომ რუსეთის ფედერაციის ძირითად ეროვნულ ინტერესებს არქტიკაში წარმოადგენს: რუსეთის ფედერაციის არქტიკული ზონის, როგორც სტრატეგიული რესურსული ბაზის, განვითარება და მისი რაციონალურად გამოყენება რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით; ჩრდილოეთ საზღვაო გზის განვითარება, როგორც მსოფლიო ბაზარზე რუსეთის ფედერაციის ეროვნული კონკურენტუნარიანი სატრანსპორტო კომუნიკაციისა.

ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს ეძღვნება მთლიანად მეორე თავი „ეროვნული უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასება არქტიკაში“, სადაც აღნიშნულია, რომ არქტიკაში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციამ 2020 წლისათვის უზრუნველყო შეიარაღებული ძალების დაჯგუფების შექმნა არქტიკულ ზონაში, რომელსაც შეუძლია სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში. ჩამოთვლილია ეროვნული უსაფრთხოების მიმართ მუქარები¹, კერძოდ: რიგი ქვეყნების მცდელობა, გადახედონ არქტიკაში სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის მარეგულირებელი, საერთაშორისო ხელშეკრულებების ძირითად დებულებებს, ამ ხელშეკრულებების და თანამშრომლობის რეგიონალური ფორმატების გაუთვალისწინებლად; არქტიკაში საზღვაო სივრცეების საერთაშორისო-სამართლებრივი დაყოფის დაუსრულებლობა; არქტიკაში რუსეთის ფედერაციის კანონიერი სამეურნეო თუ სხვა სახის საქმიანობისთვის უცხო სახელმწიფოებისა და (ან) საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ხელშეშლა; არქტიკაში სხვა სახელმწიფოების სამხედრო ყოფნის მატება და რეგიონში კონფლიქტური პოტენციალის ზრდა; არქტიკაში რუსეთის ფედერაციის საქმიანობის დისკრედიტაცია.

მესამე თავში, „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები, ძირითადი მიმართულებები და ამოცანები არქტიკაში“, სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებში მითითებულია ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განხორციელება და ყველა უთანხმოების მშვიდობიანი მოგვარება, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. ასევე, რუსეთის ფედერაციის ეროვნული ინტერესების დაცვა, მათ შორის, ეკონომიკურ სფეროში. არქტიკაში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ძირითად მიმართულებებს შორის მითითებულია: რუსეთის ფედერაციის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის დაცვა.

ამ დოკუმენტის მიხედვით, არქტიკაში, რუსეთის ფედერაციის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: რუსეთის მიმართ სამხედრო ძალის გამოყენების აცილების, მისი სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისაკენ მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსის შესრულება; არქტიკულ ზონაში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საერთო დანიშნულების ჯარების (ძალების), სხვა ჯარების, სამხედრო ფორმირებების

¹ მუქარა, რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული დოკუმენტების მიხედვით, არის პირდაპირი ან ირიბი შესაძლებლობა ზიანი მიაღწეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს, ცხოვრების ღირსეულ ხარისხს და დონეს, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, მდგრად განვითარებას, სახელმწიფოს თავდაცვას და უსაფრთხოებას.

და ორგანოების საბრძოლო შესაძლებლობების ამაღლება და მათი საბრძოლო პოტენციალის შენარჩუნება იმ დონეზე, რომელიც გარანტირებს აგრესიის მოგერიებას რუსეთის ფედერაციისა და მისი მოკავშირეების მიმართ; რუსეთის ფედერაციის არქტიკული ზონის საჰაერო, წყალზედა, წყალქვეშა ვითარების კომპლექსური კონტროლის სისტემის სრულყოფა; რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საერთო დანიშნულების ჯარების (ძალების), სხვა ჯარების, სამხედრო ფორმირებების და ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა და მოდერნიზაცია.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ზემოაღნიშნულ ბრძანებულებას მოჰყვა ცალკე სტატეგიული დოკუმენტის შექმნა არქტიკის შესახებ. ეს იყო [„რუსეთის ფედერაციის არქტიკული ზონის განვითარების და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგია 2035 წლამდე პერიოდისათვის“](#) (10/26/2020). მის ზოგად დებულებებში მითითებულია, რომ ამჟამად არქტიკული ზონის თავისებურებას წარმოადგენს „კონფლიქტური პოტენციალის ზრდა არქტიკაში“.

მეორე თავში, „არქტიკული ზონის განვითარების და ეროვნული უსაფრთხოების ვითარების შეფასება“, ნათქვამია, რომ არქტიკული ზონის მნიშვნელობა რუსეთის ფედერაციის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და მისი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განპირობებულია შემდეგით: არქტიკულ ზონაში ხდება რუსეთის ფედერაციის საწვავი ბუნებრივი გაზის 80%-ზე მეტის და ნავთობის (გაზის კონდენსატის ჩათვლით) 17%-ზე მეტის მოპოვება; რუსეთის ფედერაციის არქტიკული კონტინენტალური შელფი, ექსპერტთა შეფასებით, შეიცავს 85,1 ტრილიონ კუბურ მეტრზე მეტ საწვავ ბუნებრივ გაზს, 17,3 მილიარდ ტონაზე მეტ ნავთობს (გაზის კონდენსატის ჩათვლით) და წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მინერალურ-სანედლეულო ბაზის განვითარების სტრატეგიულ რეზერვს; ჩრდილოეთ საზღვაო გზის, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელობა გაიზარდა კლიმატური ცვლილებების შედეგად (გადაზიდვების მოცულობა 4 მილიონი ტონიდან 2014 წელს, გაიზარდა 31,5 მილიონ ტონამდე 2019 წელს); არქტიკულ ზონაში განლაგებულია შეკავების სტრატეგიული ძალების ობიექტები; არქტიკულ ზონაში წარმოებული რეგიონალური შიდა პროდუქტის წილი, ეროვნულ შიდა პროდუქტთან მიმართებით, 2014 წლის 5%-დან 2018 წელს 6,2%-მდე გაიზარდა.

ძირითად საფრთხეებს, გამოწვევებს და მუქარებს შორის, რომლებიც ქმნიან რისკებს არქტიკული ზონის განვითარების და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, მოხსენიებულია კონფლიქტური პოტენციალის ზრდა არქტიკაში, რაც მოითხოვს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობების მუდმივ ზრდას.

მესამე თავში, სტრატეგიის რეალიზაციის მიზნებში, მითითებულია რეალიზაციის ღონისძიებები, მათ შორის: შპიცბერგენის არქიპელაგზე რუსეთის ყოფნის უზრუნველყოფა, შპიცბერგენის შესახებ 1920 წლის 9 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე.

ამ დოკუმენტით, რუსეთის ფედერაციის სამხედრო უსაფრთხოების, სახელმწიფო საზღვრის დაცვის ძირითადი ამოცანების რეალიზაციისათვის გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები: არქტიკულ ზონაში შეიარაღებული ძალების შემადგენლობისა და სტრუქტურის სრულყოფა; ხელსაყრელი ოპერატიული რეჟიმის უზრუნველყოფა არქტიკულ ზონაში, შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების ჩათვლით, არსებული სამხედრო საფრთხეების და მუქარების შესაბამისად; არქტიკაში განთავსებული რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების აღჭურვა შეიარაღების, სამხედრო და სპეციალური ტექნიკის არქტიკული ზონისათვის ადაპტირებული თანამედროვე ნიმუშებით; რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საბრძოლო ბაზირების ინფრასტრუქტურების განვითარება, ტერიტორიის ოპერატიული მოწყობის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის ღონისძიებების გატარება; არქტიკულ ზონაში თავდაცვის ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტის ინტერესებში ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის ობიექტების გამოყენება.

არქტიკის და უკიდურესი ჩრდილოეთის შესახებ რუსეთის სახელმძღვანელო დოკუმენტებით მსჯელობისას შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ეტაპები:

მე-20 საუკუნის ბოლო და 21-ე საუკუნის დასაწყისი - რუსეთს სხვა მნიშვნელოვანი საგარეო და საშინაო საკითხები აქვს მოსაგვარებელი. ნახშირწყალბადების მოპოვება იზრდება ადვილად დასამუშავებელ საბადოებზე და არ დგას არქტიკასა თუ უკიდურეს ჩრდილოეთში ძვირადღირებული კვლევების და მოპოვების აუცილებლობა. შესაბამისად, ამ რეგიონს ნაკლები ყურადღება ეთმობა.

21-ე საუკუნის პირველი დეკადის ბოლოდან 2015 წლამდე პერიოდი - ნახშირწყალბადების გაყიდვით მოძლიერებული რუსეთი იწყებს მსოფლიოში თავისი მნიშვნელობის გაზრდაზე ზრუნვას, მათ შორის, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გავლენის გაზრდით. თუმცა არქტიკა და უკიდურესი ჩრდილოეთი მაინც განისაზღვრება, როგორც ეკონომიკური სიძლიერის ხელშემწყობი რეგიონი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნახშირწყალბადების მარაგების გაზრდის საჭიროების და მათი მოპოვების გართულების ფონზე.

2015-2019 წწ. პერიოდი - გამოცემულ დოკუმენტებში ყურადღება გამახვილებულია მსოფლიოს პოლიცენტრული მოწყობის აუცილებლობაზე და ამაში

სამხედრო კომპონენტის მნიშვნელობაზე. დიდი ყურადღება ეთმობა სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესაძლებლობების და როლის გაზრდას ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, კონკრეტულად, არქტიკასა და უკიდურეს ჩრდილოეთში.

2019 და, განსაკუთრებით, 2020 წლიდან - უკვე გამოიცემა ეროვნული დონის დოკუმენტები, რომლებშიც გამოკვეთილად ხაზგასმულია არქტიკისა და უკიდურესი ჩრდილოეთის თემა. ასევე, დოკუმენტები სპეციალურად ამ რეგიონის შესახებ. ამ დოკუმენტებში უკვე საუბარია რეგიონში კონფლიქტური პოტენციალის ზრდაზე, რუსეთის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე, სასაზღვრო პრობლემებზე. მიზნებსა და ამოცანებში მითითებულია სამხედრო შესაძლებლობის გაზრდის, საბრძოლო მზადყოფნის და ხელსაყრელი ოპერატიული რეჟიმის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება.

რუსეთის ფედერაციის მოქმედებები ამ მიმართულებით სინქრონულად მიჰყვება სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნებს: 2014 წელს დასავლეთ სამხედრო ოლქს გამოეყო ჩრდილოეთის ფლოტი; რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2020 წლის 5 ივნისის #374 განკარგულებით შეიცვალა ჩრდილოეთის ფლოტის კონფიგურაცია და ის მოექცა რესპუბლიკა კომის, არხანგელსკისა და მურმანსკის ოლქის და ნენეცთა ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ საზღვრებში. 2020 წლის 21 დეკემბრიდან ჩრდილოეთის ფლოტი ითვლება სამხედრო ოლქად. პარალელურად, ბოლო 5-8 წლის პერიოდში, პრიორიტეტულად ხდება ჩრდილოეთის ფლოტის შესაძლებლობების ზრდა, რაც ასევე ასახულია სახელმძღვანელო დოკუმენტებში.

ვის რა ინტერესები აქვს არქტიკაში?

არქტიკაში გამორჩეულ როლს თამაშობენ არქტიკის მიმდებარე ქვეყნები, რომლებიც შედიან „არქტიკული საბჭოს“ შემადგენლობაში. ესენია: აშშ, დანია, ისლანდია, კანადა, ნორვეგია, რუსეთი, ფინეთი და შვედეთი. გარდა საერთო მიდგომებისა, მათ თავიანთი კერძო ინტერესებიც აქვთ. პირველ რიგში, ეს ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს. კერძოდ, ის იცავს თავისუფალი ნაოსნობის და ღია საზღვაო გზების პრინციპებს მსოფლიო მასშტაბით და ეწინააღმდეგება რუსეთის და კანადის ექსკლუზიურ კონტროლს, შესაბამისად, „ჩრდილოეთის საზღვაო გზაზე“ და „ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელზე“. გარდა ამისა, ზოგ წევრ სახელმწიფოს ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები აქვს. მათ შორის აღსანიშნავია კანადის, დანიის და რუსეთის დავა ლომონოსოვის წყალქვეშა ქედის კუთვნილებაზე.

თითოეული მხარე მიიჩნევს, რომ ეს ქედი მას ეკუთვნის. 2007 წელს რუსეთის წყალქვეშა ნავმა რუსეთის დროშა „დაარქო“ ჩრდილოეთის პოლუსის ქვეშ, რამაც სხვა ქვეყნებში მწვავე რეაქცია გამოიწვია.

არქტიკის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ზრდასთან ერთად გაიზარდა მის მიმართ არაარქტიკული ქვეყნების ინტერესი. არქტიკული საბჭოს მუშაობაში სურვილი გამოთქვეს ევროპისა და აზიის წამყვანმა სახელმწიფოებმა. რიგ ქვეყნებს მუდმივი დამკვირვებლების სტატუსი მიენიჭა, მათ შორის: ჩინეთს, ინდოეთს, იტალიას, იაპონიას, სამხრეთ კორეას, სინგაპურს და, პირობითად, ევროკავშირს. მათგან განსაკუთრებით აქტიურია ჩინეთი. მის მზარდ ეკონომიკას სჭირება თავისუფალი და შეუზღუდავი ნაოსნობა არქტიკაში, რაც მისი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებშია. ამ მიზნით ამზადებს ჩინეთი თავის ფლოტსაც. ევროკავშირის ქვეყნების ინტერესები განპირობებულია იმით, რომ ევროპის ქვეყნების ნახშირწყალბადებით, სხვა მინერალებით და ბიორესურსებით უზრუნველყოფაში არქტიკას ძალიან დიდი ადგილი უჭირავს. გარდა ამისა, ევროპა ძალიან დაინტერესებულია არქტიკის ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებით, რასაც ძალიან დიდი გავლენა აქვს გლობალურ პროცესებზე.

რუსეთის სამხედრო პოტენციალის გაძლიერება და ჩინეთის გამოჩენა არქტიკაში მნიშვნელოვანი გამოწვევაა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, რამაც გამოიწვია შესაბამისი მოქმედებები. ამ მიმართულებაზე გააქტიურდა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მეორე ფლოტი. აღადგინეს კელფავიკის (ისლანდია) სამხედრო ობიექტი, საიდანაც აშშ-ის ძალები 2006 წელს გაიყვანეს. ინტენსიურად შენდება ახალი ყინულმჭრელები. ყოველწლიურად ტარდება გაერთიანებული სწავლებები „JOINT VIKING“, NATO-ს ქვეყნების მონაწილეობით. რაც ყველაზე საყურადღებოა, 2019 წელს პენტაგონმა კონგრესს წარუდგინა [მობსენება](#) არქტიკის სტრატეგიის შესახებ, სადაც მითითებულია რუსეთისა და ჩინეთის მოქმედებებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე არქტიკაში.

უშუალოდ ჩრდილოეთის ფლოტის სტატუსის შეცვლაზე პირველ რეაგირებად შეიძლება ჩაითვალოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მინისტრ კენეტ ბრეითუეითის (Kenneth Braithwaite) [განცხადება](#), რომ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტი დაიწყებს რეგულარულ პატრულირებას რუსეთის სანაპიროს მახლობლად არქტიკაში, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის ზეწოლას უკიდურეს ჩრდილოეთში.

დასკვნა

რუსეთისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ხდება არქტიკის და უკიდურესი ჩრდილოეთის რეგიონი, რომლის ეკონომიკური პოტენციალი ძალიან მაღალია კომუნიკაციების და წიაღისეული მარაგების თვალსაზრისით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რაიონის დაცვა. მნიშვნელოვანია რეგიონის სამხედრო როლი სტრატეგიული დანიშნულების რაკეტების გამოყენების და მათგან თავდაცვის თვალსაზრისით (მიზნებისაკენ უმოკლესი ტრაექტორიების და ფრენის მინიმალური დროის გამო). თუმცა, ამ ყველაფრის გამო, აუცილებელი არ იყო ჩრდილოეთის ფლოტის ცალკე გამოყოფა და შემდეგ მისი სტატუსის ამღლება (რასაც ლოგიკურად მოსდევს ძალების და საშუალებების მკვეთრი ზრდა და რაც მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული). ამ ამოცანების შესრულება შეეძლო დასავლეთ სამხედრო ოლქს (რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ჩრდილოეთის ფლოტი), ცენტრალურ და აღმოსავლეთ სამხედრო ოლქებთან ერთად. ეს ამჟამადაც ასე ხდება. ბოლო ცვლილებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც რუსეთის ფედერაციის განზრახვის გამოვლინება არქტიკაში გავლენის სფეროების თავის სასარგებლოდ გადასანაწილებლად, არსებული საზღვრების გადახედვის და სადავო ტერიტორიებისათვის ბრძოლის ჩათვლით. ამ საქმეში მძლავრი ჩრდილოეთის ფლოტი ძლიერი ინსტრუმენტი შეიძლება იყოს.